საქართველოს მთავრობის
განკარგულება

№1849 2020 წლის 24 სექტემბერი ქ. თბილისი

„2011-2012 წლებში აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისა და ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამების ხელახალი აკრედიტაციის ეტაპების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 7 სექტემბრის №1881 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე, „2011-2012 წლებში აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისა და ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამების ხელახალი აკრედიტაციის ეტაპების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 7 სექტემბრის №1881 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და განკარგულების პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ზ) ინჟინერიის მიმართულების (კოდი – 04) უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ხელახალი აკრედიტაციის ვადად განისაზღვროს 2021 წლის 31 მარტი;“.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი გახარია**